თავისუფალი გაზეთი „პოსტსკრიპტუმი"

P.S.

„ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გვინდა ტაში!"

სალომე ზურაბიშვილის მიმართვა:
"როგორც მომავალი მთავარსარდალი, ყველაფერს გავაკეთებ საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისთვის"
იხილეთ მე-2-3 გვ.

№8 (788) 26 ნოემბერი, 2018 | გამოდის 1995 წლიდან | ფასი: 70 თეთრი

მუნიციპალური განვითარების ფონდი ქუთაისში რიონისპირა სახლების რეაბილიტაციის პროცესს იწყებს

ამის შესახებ თავად ფონდმა გააკეთა უკვე განცხადება. ტენდერს საპროექტო სამუშაოების შეძენის შესახებ მუნიციპლაური განვითარების ფონდი მალე გამოაცხადებს, რომლის დასრულებისთანავე, გამოცხადდება მეორე ტენდერი სამუშაოების დაწყების პროცესზე.



ქუთაისის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის განცხადებით, რაც შეეხება საპროექტო დოკუმენტაციისთვის საჭირო თანხებს, ამას თავად ფონდი გაიღებს. შესაბამისად, ქუთაისის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტში, როომელიც უკვე შევიდა საკრებულოში განსახილველად ამ ეტაპზე ვერ აისახებოდა საპროექტო და სამშენებლო სამუშაოებისთვის საჭირო თანხები.

ქუთაისს მუნიციპალური განვითარების ფონდის დირექტორი გიორგი შენგელია სტუმრობდა. მან ქალაქის მერ გიორგი ჭიღვარიასა და იმერეთის გუბერნატორ, შავლეგო ტაბატაძესთან ერთად დაათვალიერა სარეაბილიტაციო სახლები და განაცხადა, რომ რეაბილიტაცია 2020 წელს დაიწყება. მანამდე კი, 2019 წელს ფონდი სამუშაოების პროექტირებაზე იმუშავებს. ხოლო მომდევნო ორი წლის განმავლობაში პროექტი სრულ სახეს მიიღებს.

გიორგი შენგელიას თქმით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ქალაქი, სადაც ტურისტების დიდი ინტერესია ყოველწლიურად, იყოს მოწესრიგებული.

„მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ 2019 წელს დაგეგმილია რიონისპირა სახლების რეაბილიტაციის საპროექტო სამუშაოების განხორციელება. ისტორიულ ნაწილში აღდგება სახლები, მოხდება რეაბილიტაცია, მოწესრიგდება კაპალოტი, მოეწყობა სანიაღვრეები, ბილიკები, განათდება და სრულიად ახალ სახელს შეიძენს უბანი და ახლა სიცოცხლეს შემოიტანს ქალაქისთვის, შეკრავს მთლიანად ტურისტულ მარშრუტს. ქუთაისი ერთ-ერთი მასპინძელია ვიზიტორების, რომლებიც აქ ჩამოდიან აეროპორტიდან გამომდინარე და ნაწილდებიან სხვადასხვა რეგიონებში, ამიტომ მნიშვნელოვანია, აღგილი, სადაც შეხება ხდება ტურისტული ნაკადების, მოწესრიგდეს. თანხები განისაზღვრება საპროექტო სამუშაოების შემდეგ, სავარაუდოდ, საუბარი რამდენიმე ათეულ მილიონზეა. რადგან საკმაოდ დიდ უბანს ვეხებით, სახლებში, სადაც შესაძლებელია მშენებლობის დროს მოსახლეობის დატოვება, დარჩება, თუ არა მოხდება გაყვანა", - განაცხადა გიორგი შენგელიამ.

შეგახსენებთ, რომ რიონისპირა სახლების რეაბილიტაციის ინიციატივა გახლდათ "ქართული ოცნების" ერთ-ერთი საარჩევნო დაპირება და ქუთაისის მერმა, გიორგი ჭიღვარიამ, რამდენიმე თვის უკან წარუდგინა მუნიციპალური განვითარების ფონდს, საიდანაც ადგილობრივმა თვითმმართველობამ მაქსიმალური მხარდაჭერა მიიღო. ამის შემდეგ კი დაიწყო შესაბამისი სამუშაოები სატენდერო პირობების მოსამზადებლად.

2019 წლიდან სკოლის დირექტორებს, პედაგოგებსა და ადმინისტრაციის თანამშრომლებს ხელფასები გაეზრდებათ

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის, მიხეილ ბატიაშვილის მიერ სექტემბრის დასაწყისში წარმოდგენილი განათლების სისტემის ტრანსფორმაციის გეგმა აქტიურ ფაზაში შედის. წინასწარი სამუშაოები, ფაქტობრივად, დასრულებულია და მიმდინარეობს შეხვედრები დაინტერესებულ მხარეებთან. როგორც ცნობილია, განათლების რეფორმა განათლების სისტემის ყველა მიმართულებას მოიცავს.

2019-2021 წლებში, ხელფასები გაეზრდებათ სკოლის დირექტორებს, ადმინისტრაციულ პერსონალს და გაგრძელდება ხელფასების ზრდა მასწავლებლებისთვის. 2022 წლისთვის კი მასწავლებლის საშუალო ხელფასი მიაღწევს 1800 ლარს, ხოლო უმაღლესი საფეხურის მასწავლებლების ხელფასი - 2000 ლარს და მეტს.

განათლების სამინისტროს ცნობით, 2019 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტში თანხები უკვე გათვალისწინებულია.

მინისტრის მოადგილე ირინა აბულაძემ თბილისის საჯარო სკოლების მასწავლებლებთან სამუშაო შეხვდა გამართა და რეფორმის ფარგლებში გათვალისწინებული ზოგადი განათლების განვითარების ხედვა, სამომავლო გეგმები და ის ახალი ინიციატივები გააცნო, რაც სკოლებს კიდევ უფრო განავითარებს და მოსწავლეთა და პედაგოგთა მოტივაციას გაზრდის.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ეროვნულ სასწავლო გეგმაში შესულ ცვლილებებს, სკოლის ახალი მოდელის კონცეფციას, სახელფასო ზრდის პოლიტიკას და სხვ. მინისტრის მოადგილის განცხადებით, ბევრი სიახლე ინერგება იმისათვის, რომ ამაღლდეს განათლების ხარისხი, სკოლა გახდეს უფრო საინტერესო და თანამედროვე, მოზარდებს განუვითარდეთ კრიტიკული და თავისუფალი აზროვნება.

პირველ რიგში, ეს არის ახალი სასწავლო გეგმა, განახლებული სასკოლო წიგნები და სხვა სასწავლო რესურსი, პილოტის რეჟიმში მიმდინარეობს სწავლების ახალი მოდელის დანერგვა, რომელიც კომპლექსურია და ბევრ მიმართულებას მოიცავს - ახლებურ მიდგომებს საგაკვეთილო პროცესში, მეტი ანალიზის შემოტანას, რაც შეიძლება მეტი ტექნოლოგიების, ინოვაციების დანერგვას სკოლებში. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხი, რაზეც ირინა აბულაძემ ისაუბრა არის მასწავლებლების, სკოლის დირექტორების და ადმინისტრაციის ხელფასების ზრდა.

აბულაძემ ასევე განაცხადა, რომ 2019 წელს დანამატის გაზრდა იგეგმება მასწავლებლებისთვის, რომლებიც სტატუსს იუმჯობესებენ.

PS news.ge

ISSN 1987-7056

9 771987 705004

სალომე ზურაბიშვილის მიმართვა ქართულ ჯარს

დღეს, გიორგობის დღესასწაულზე, მსურს მივმართო ქართულ ჯარს და ჩემი უღრმესი პატივისცემა გამოვხატო ჩვენი ჯარისკაცების მიმართ!

ვულოცავ საქართველოს თავდაცვის ძალებს დღევანდელ წმინდა დღესასწაულს! წმინდა გიორგი იყოს თქვენი მფარველი! გასული ასწლეულის განმავლობაში ქართულმა ჯარმა არაერთგზის გმირულად იომა ქვეყნის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად: 1918-21 წლებში, ჩვენი საამაყო გენერლების, გიორგი მაზნიაშვილისა და გიორგი კვინიტაძის მეთაურობით; 1921 წელს - თბილისის მისადგომებთან, იუნკერების თაოსნობით; 1990-იანი წლების დასაწყისში - აფხაზეთსა და სამაჩაბლოში; 2008 წელს - რუსული ჯარის წინააღმდეგ.

იუნკრების, შინდისის გმირების, გიორგი ანწუხელიძის მსგავსი გმირების მხრებზე იდგა და დგას ჩვენი სახელმწიფოებრიობა და ეროვნული თვითმყოფადობა! დღეს, ჩვენი სამხედრო ძალები იცავენ საქართველოს სახელს და ღირსებას ქვეყნის შიგნით და საერთაშორისო მისიებში. ჩვენს ჯარისკაცებს შეაქვთ უმნიშვნელოვანესი წვლილი ქვეყნის დამოუკიდებლობის განმტკიცებაში, გლობალური მშვიდობის შენარჩუნებასა და საერთაშორისო ტერიტორიზმთან დაკავშირებული გამოწვევების დაძლევაში.

საქართველოს თავდაცვისუნარიანობის გამტკიცება ჩვენი სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი ამოცანაა - უნდა განახლდეს ქვეყნის თავდაცვის კონცეფცია; უნდა გაგრძელდეს თავდაცვის ძალების აღჭურვა თანამედროვე საბრძოლო ტექნიკითა და სამხედრო ტექნოლოგიებით; უნდა გაძლიერდეს ჯარისკაცის სტატუსი საზოგადოებაში; უნდა შეიქმნას ღირსეული პირობები ვეტერანებისთვის, ადამიანებისთვის, რომლებიც სიცოცხლეს წირავდნენ ქვეყნის დასაცავად.

ჩვენი სახელმწიფოებრივი ამოცანაა ჯარის პოლიტიკური ნეიტრალიტეტის დაცვა. ჩვენი ჯარისკაცების ღირსებაზე მეტყველებს, რომ სხვადასხვა უღირსი მცდელობის მიუხედავად, ვერავინ შეძლო ჯარის პოლიტიკური ნიშნით დაყოფა და ჯარში რაიმე დაპირისპირების შეტანა. ქართული ჯარის ერთიანობის, ნეიტრალიტეტისა და სახელმწიფოს მიმართ ერთგულების ხელყოფას ვერავინ შეძლებს! ამის გარანტი იქნება თქვენი პრეზიდენტი და უმაღლესი მთავარსარდალი. მე, როგორც თავდაცვის ძალების მომავალი უმაღლესი მთავარსარდალი, საქართველოს კონსტიტუციით მინიჭებული უფლებამოსილებების ფარგლებში, ვიქნები საქართველოს თავდაცვის ძალების ინტერესების გამტარებელი და დამცველი. ყველაფერს გავაკეთებ საქართველოს თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისთვის. კიდევ ერთხელ ვულოცავ ქართულ ჯარს და ჩვენს ჯარისკაცებს გიორგობის ბრწყინვალე დღესასწაულს, გფარავდეთ მისი მადლი!

დემოკრატია

„ნაციონალური მოძრაობა"

დემოკრატია და ადამიანის უფლებები 2004-2012

- დამკვიდრდა ბიზნესის რეკეტისა და ადამიანებისთვის ქონების წართმევის სისტემური პრაქტიკა - სხვადასხვა უწყებაში დაფიქსირდა ადამიანებისთვის ქონების წართმევის 10 ათასზე მეტი შემთხვევა.
- დამკვიდრდა პატიმრების წამების, გაუპატიურებისა და ღირსების ხელყოფის სისტემური პრაქტიკა - დაფიქსირდა პატიმრების 30 ათასზე მეტი საჩივარი, საიდანაც 6 ათასამდე საჩივარი პატიმრების წამებას უკავშირდებოდა.
- პატიმრების რიცხოვნობამ და სიკვდილიანობამ რეკორდულ ნიშნულს მიაღწია.
- დამკვიდრდა ადამიანების ტოტალური თვალთვალის, მიყურადების, პირად ცხოვრებაში ჩარევის სისტემური პრაქტიკა.
- მოქალაქეების შეკრების თავისუფლებას ხელისუფლება უპრეცედენტო სისასტიკეს უპირისპირებდა.
- ჩამოყალიბდა უსამართლო სასამართლო სისტემა, რომელიც სრულად ემორჩილებოდა სააკაშვილისა და ადეიშვილის უკანონო დირექტივებს: სასამართლო იქცა ადამიანების ღირსების შელახვის, დაშინებისა და რეკეტის ერთ-ერთ უმთავრეს ინსტრუმენტად.
- განხორციელდა პოლიციის, სასამართლოს, პროკურატურისა, აგრეთვე სხვა სამართალდამცავი და საჯარო უწყებების ტოტალური პოლიტიზება.
- 2004-2007 წლებში ნაციონალურმა მოძრაობამ ყაჩაღურად და უკანონოდ მიისაკუთრა ყველა საერთოეროვნული სატელევიზიო არხი, მათ შორის საზოგადოებრივი მაუწყებელი და ტელეკომპანიები - „იმედი" და „რუსთავი 2".
- დამკვიდრდა არჩევნების უხეში გაყალბების პრაქტიკა.
- ნაციონალური მოძრაობა ებრძოდა ქართულ ეკლესიას, ტრადიციებსა და ღირებულებებს.
- მრავალჯერადი ცვლილებების საფუძველზე, ხელისუფლებამ დაამკვიდრა არადემოკრატიული, სააკაშვილისა და ნაციონალური მოძრაობის სუბიექტურ ინტერესებზე მორგებული კონსტიტუცია.

„ქართული ოცნება"

დემოკრატია და ადამიანის უფლებები 2013-2018

- აღიკვეთა ბიზნესის რეკეტისა და ადამიანებისთვის ქონების წართმევის პრაქტიკა - სახელმწიფომ ადამიანებს ნაციონალური მოძრაობის მიერ წართმეული 50 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების ქონება დაუბრუნა.
- უზრუნველყოფილია ბიზნესის თავისუფლება - მსოფლიო ბანკის რეიტინგის თანახმად, საქართველო მეექვსე ადგილზეა მსოფლიოში ბიზნესის კეთების სიმარტივის თვალსაზრისით.
- ფუნდამენტურად გაუმჯობესდა პატიმრების უფლებრივი მდგომარეობა:
- აღიკვეთა პატიმრების წამებისა და ღირსების სხვაგვარი ხელყოფის პრაქტიკა;
- 2011 წელთან შედარებით, 2,6-ჯერ (24114-დან 9280-მდე) შემცირდა პატიმრების რაოდენობა;
- 2011 წელთან შედარებით, 9-ჯერ (140-დან 15-მდე) შემცირდა პატიმრების სიკვდილიანობის მაჩვენებელი.
- აღიკვეთა ადამიანების პირად ცხოვრებაში სახელმწიფოს უხეში, ღირსების შემლახავი ჩარევის პრაქტიკა.
- არ ყოფილა შეკრების არათუ სასტიკი, ძალადობრივი დაშლის არცერთი პრეცედენტი.
- ფუნდამენტურად გაუმჯობესდა სასამართლოს დამოუკიდებლობისა და ეფექტიანობის ხარისხი, რაც ყველაზე უკეთ სტატისტიკური მაჩვენებლებით გამოიხატება:
- 6-ჯერ გაიზარდა გამამართლებელი განაჩენების რაოდენობა;
- 2-ჯერ შემცირდა წინასწარი პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი;
- 3-ჯერ შემცირდა ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების მაჩვენებელი;
- 5-ჯერ შემცირდა ჯარიმების შეფარდების მაჩვენებელი;
- 220-ჯერ გაიზარდა პოლიციისა და სიტი-პარკის წინააღმდეგ საჩივრების დაკმაყოფილების მაჩვენებელი;
- 11-ჯერ შემცირდა სტრასბურგის სასამართლოში საქართველოდან გაგზავნილი საჩივრების რაოდენობა.
- განხორციელდა ჯარის, პოლიციისა და სხვა საჯარო უწყებების დეპოლიტიზაცია.
- უზრუნველყოფილია მედიაპლურალიზმი:
- 2 წამყვანი სატელევიზიო მაუწყებლიდან ერთი ნაციონალურ მოძრაობას ეკუთვნის, მეორე კი ხელისუფლების ძალისხმევით, კანონიერ მფლობელს დაუბრუნდა და მიუკერძოებელ მაუწყებლობას ახორციელებს;
- ათეულობით ტელევიზია, რადიო და ბეჭდვითი პრესის საშუალება დამოუკიდებელ საინფორმაციო საქმიანობას ეწევა.
- აღიკვეთა არჩევნების გაყალბების პრაქტიკა, მნიშვნელოვნად გაიზარდა ნდობა საარჩევნო ადმინისტრაციის მიმართ.
- ხელისუფლება პატივს სცემს და უსმენს ქართულ ეკლესიას, იცავს ეროვნულ ღირებულებებსა და ტრადიციებს.
- სალომე ზურაბიშვილის ინიციატივის საფუძველზე, პარლამენტმა მიიღო კონსტიტუციური ნორმა, რომელიც ქართული დიასპორის წარმომადგენლებს საქართველოს მოქალაქეობის შენარჩუნებისა და აღდგენის შესაძლებლობას ანიჭებს.
- პარლამენტმა მიიღო კონსტიტუციის ახალი რედაქცია, რომელიც სრულად შეესაბამება ევროპულ სტანდარტებს და საქართველოში გრძელვადიან პერსპექტივაში ავტორიტარული თუ ნახევრად ავტორიტარული რეჟიმის ჩამოყალიბებას გამორიცხავს.

ეკონომიკა და სოციალური პოლიტიკა

ნაციონალური მოძრაობა

მოსახლეობა

2003	4,0 მილიონი
2012	3,7 მილიონი

ნაციონალური მოძრაობის რეჟიმის პირობებში მოსახლეობა 300 ათასამდე ადამიანით შემცირდა!

2018	3,7 მილიონი

„ქართულმა ოცნებამ" დემოგრაფიული კატასტროფა შეაჩერა, 2014 წლიდან კი, მოსახლეობის რაოდენობის ზრდა დაიწყო!

ბიუჯეტი

2012	8,6 მილიარდი ლარი

2018	13,7 მილიარდი ლარი

გაიზარდა **5,1** მილიარდი ლარით!

ეკონომიკა (მშპ)

2012	26 მილიარდი ლარი

2017	38 მილიარდი ლარი

გაიზარდა **12** მილიარდი ლარით!

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

2012	1,0 მილიარდი დოლარი

2017	1,9 მილიარდი დოლარი

გაორმაგდა!

სიღარიბე (მსოფლიო ბანკის მონაცემებით)

2012	1147,5 ათასი ადამიანი

2017	814 ათასი ადამიანი

შემცირდა **333,5** ათასი ადამიანით!

დასაქმება

2012	716,2 ათასი დაქირავებით დასაქმებული

2017	824,2 ათასი დაქირავებით დასაქმებული

გაიზარდა **108** ათასი ადამიანით!

საშუალო ხელფასი

2012	712,5 ლარი

2018	999,1 ლარი

გაიზარდა **286,6** ლარით!

ტურიზმი

2011	3,1 მილიონი ტურისტი

2017	7,9 მილიონი ტურისტი

გაიზარდა 4,8 მილიონით!

ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაფინანსება

2012	1,8 მილიარდი ლარი

2018	3,5 მილიარდი ლარი

გაორმაგდა!

პენსია

2012	110 ლარი

2019	200 ლარი

გაიზარდა **90** ლარით!

განათლებისა და მეცნიერების დაფინანსება

2011	0,6 მილიარდი ლარი

2017	1,2 მილიარდი ლარი

გაორმაგდა!

აშენდა ათეულობით ახალი სკოლა და საბავშვო ბაღი!
რეაბილიტაცია ჩაუტარდა ათასობით სკოლასა და საბავშვო ბაღს!

გზები

2007-2012	განხორციელდა 272 კმ/ზოლი ავტობანის მშენებლობა

2013-2018	განხორციელდა 349 კმ/ზოლი ავტობანის მშენებლობა

აშენდა 28 პროცენტით მეტი გზა!

გაზიფიკაცია

2004-2012	172,7 ათასი ახალი აბონენტი

2013-2018	393,4 ათასი ახალი აბონენტი

3,4-ჯერ გაიზარდა გაზიფიკაციის საშუალო წლიური მაჩვენებელი!

„ქართულმა ოცნებამ" განხორციელა სოფლის მეურნეობის მხარდაჭერის უპრეცედენტო პროგრამები, რომლებმაც ადამიანებს წარმოების გაფართოებისა და მეტი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა მისცა.

„ქართულმა ოცნებამ" დანერგა მაღალმთიანი რეგიონების მხარდაჭერის უპრეცედენტო პროგრამა, რომლის მიზანია მთის გადარჩენა და რომლის უშუალო მოსარგებლე მაღალმთიან რეგიონებში მცხოვრები ჩვენი ათიათასობით თანამოქალაქეა.

„ქართულმა ოცნებამ" 2013 წელს დანერგა საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამა, რომლითაც მოქალაქეებმა უკვე 4,8 მილიონჯერ ისარგებლეს!

„ქართულმა ოცნებამ" დანერგა C-ჰეპატიტის პროგრამა, რომლის საფუძველზე უკვე 45 ათასი ადამიანი სრულად განიკურნა!

„ქართულმა ოცნებამ" გააუმჯობესა სოციალური დაცვის გარანტიები:

- 2,5-ჯერ (285 მილიონიდან 700 მილიონამდე) გაიზარდა სოციალური დახმარების ბიუჯეტი;
- მთავრობის ახალი ინიციატივის საფუძველზე, ადამიანის დასაქმება ავტომატურად აღარ გახდება სოციალური დახმარების მოხსნის საფუძველი;
- მთავრობის ახალი ინიციატივის საფუძველზე, თითოეულ ბავშვს სოციალურად დაუცველი ოჯახიდან დაენიშნა 50-ლარიანი დახმარება;
- განხორციელდა სრული საგადასახადო ამნისტია 2012 წლამდე საგადასახადო დავალიანების მქონე პირებისათვის - განულდა მეწარმეებისა და სხვა მოქალაქეების დავალიანება 700 მილიონი ლარის ოდენობით;
- სახელმწიფომ განსაკუთრებულ პრიორიტეტად დაისახა შშმ პირების უფლებებისა და ინტერესების რეალიზება.

2013 წლიდან, გრძელვადიანი განსახლებით დაკმაყოფილდა 16 ათასზე მეტი დევნილი ოჯახი, მათ შორის:

- ახალაშენებულ და რეაბილიტირებულ კორპუსებში ბინა 6735 დევნილ ოჯახს გადაეცა;
- „სოფლად სახლის" პროექტის ფარგლებში, სახელმწიფომ სახლი 2441 დევნილ ოჯახს შეუძინა;
- სახელმწიფომ იპოთეკური სესხი 375 დევნილ ოჯახს დაუფარა;
- სახელმწიფომ კერძო მესაკუთრეებისგან გამოისყიდა და დევნილებს გადასცა 1579 ბინა;
- სახელმწიფომ ინვესტორების თანადაფინანსებით ბინა შეუძინა 67 დევნილ ოჯახს;
- წლის ბოლომდე დაგეგმილია ახალაშენებულ კორპუსებში ბინების გადაცემა 1921 დევნილი ოჯახისთვის;
- 2013 წლიდან შეწყდა დევნილების გამოსახლება.

სწავლა საბავშვო ბაღებში გახდა სრულიად უფასო!
დაინერგა უფასო სახელმძღვანელოების პროგრამა!

ვაშინგტონში ქართული მეღვინეობის შესახებ კონფერენცია გაიმართა

აშშ-ს დედაქალაქ ვაშინგტონში „ქართული ღვინის პირველი ფორუმი" ქართული ღვინის კულტურისა და თანამედროვეობისადმი მიძღვნილი კონფერენციით დასრულდა.

კონფერენცია აშშ-ს სტრატეგიისა და საერთაშორისო სწავლების ცენტრში (CSIS) გაიმართა იმ მეცნიერების მონაწილეობით, რომლებიც უშუალოდ იყვნენ ჩართული ღვინის ეროვნული სააგენტოს პროექტში „ქართული ვაზისა და ღვინის კულტურის კვლევა". აღნიშნული პროექტის კვლევების საფუძველზე, 2017 წლის 13 ნოემბერს, აშშ-ის მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სამეცნიერო ჟურნალში (PNAS) გამოქვეყნდა სამეცნიერო სტატია „საქართველოს ადრეული ნეოლითური ღვინო სამხრეთ კავკასიიდან", რომლითაც დასტურდება, რომ მეღვინეობის უძველესი კვალისწორედ საქართველოს ტერიტორიაზეა აღმოჩენილი.

ვაშინგტონში გამართულ კონფერენციაზე ქართული ღვინის 8-ათასწლიან ისტორიასთან ერთად, განხილული იყო თანამედროვე ღვინის ინდუსტრიის პოლიტიკურ-ეკონომიკური ასპექტები, უცხოური ინვესტიციების, ადგილობრივი ეკონომიკისა და აშშ-ს ბაზარზე ქართული ღვინის პოტენციალის საკითხები.

"ქართული ღვინის ფორუმი" ორგანიზებული იყო ამერიკა-საქართველოს ბიზნეს საბჭოს მიერ. ფორუმის მხარდამჭერებიიყვნენ ღვინის ეროვნული სააგენტო და აშშ-ში საქართველოს საელჩო. სამდღიანი ფორუმის ფარგლებში ასევე ჩატარდა „საფერავის ფესტივალი" და ქართული ღვინის დეგუსტაციავაჭრობის სფეროს წარმომადგენლებისა და მედიისთვის.

ვაშინგტონში „ქართული ღვინის ფორუმს" საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველი მოადგილე ნოდარ კერესელიძე,საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი სოფლისა და სოფლის განვითარების საკითხებში დავით კირვალიძე და ღვინის ეროვნული სააგენტოს თავმჯდომარე ლევან მეხუზლა დაესწრნენ.

ნოდარ კერესელიძის განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატების ბაზარი ძალიან მნიშვნელოვანია ქართული ღვინისთვის.

„ამ სამი დღის განმავლობაში, ჩვენ შესაძლებლობა გვქონდა ქართული ღვინო და ღვინის კულტურა წარგვედგინა ღვინის პროფესიონალებისა და ასევე ფართო საზოგადოებისთვის. ეს იყო ძალიან მნიშვნელოვანი ფორუმი ქართული ღვინის პოპულარიზაციის კუთხით. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და ღვინის ეროვნული სააგენტო მომავალშიც გააგრძელებს მსგავსი ღონისძიებების მხარდაჭერას ამერიკის შეერთებულ შტატებში. ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანია ღვინის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიკაცია და ამ თვალსაზრისით აშშ არის ძალიან მიმზიდველი და საინტერესო ბაზარი" - აღნიშნა მინისტრის პირველმა მოადგილემ.

საქართველოს სავაჭრო – სამრეწველო პალატის პრეზიდენტი იმერეთში მეწარმეებს შეხვდა

საქართველოს სავაჭრო - სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ნინო ჩიქოვანი და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სააგენტოს თავმჯდომარე გიორგი მიშელაძე დღეს იმერეთში მეწარმეებს შეხვდნენ. ეს შეხვედრა სამრეწველო პალატის ახალი კამპანიის, „გაეცანი წარმოებას", ფარგლებში გაიმართა.

სტუმრებმა თავდაპირველად მეფუტკრეების პრობლემები მოისმინეს. გიორგი მიშელაძის თქმით, მნიშვნელოვანია იმ მიზეზის გამოვლენა, რის გამოც მეწარმეები დაზარალდნენ, რათა სახელმწიფომ შესაბამისი ზომები მიიღოს და დახმარება აღმოუჩინოს.

დღესვე სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი ნინო ჩიქოვანი ქუთაისში მდებარე საწარმო "ემჯიემტექსს" ესტუმრა."ემჯიემტექსი" ტექსტილის და ტანისამოსის მწარმოებელი საწარმოა, რომელსაც საკუთარი ნაწარმი ექსპორტზე რამდენიმე ქვეყანაში გააქვს. აქ ამ ეტაპზე 250 ადგილობრივია დასაქმებული. აღნიშნული საწარმო ქართულ-რუმინული ინვესტიციაა,რომელიც სამი მილიონი ლარით დაფინანსდა.

კამპანიის „გაეცანი წარმოებას"ძირითადი მიზანი ადგილობრივი პროდუქციის პოპულარიზაცია და საქათველოში მოქმედი საწარმოების საქმიანობის საზოგადოებისთვის გაცნობაა. სავაჭრო-სამრეწველო პალატის წარმომადგენლები კამპანიის ფარგლებში საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში ბიზნეს სექტორისთვის აქტუალურ პრობლემატიკას გაეცნობიან.

ქუთაისში რვა საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია დასრულების ფაზაშია

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ნათია ზედგინიძე, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერების და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილესთან, პარლამენტის წევრ გენადი მარგველაშვილთან და ათასწლეულის გამოწვევის ფონდის აღმასრულებელი გუნდის წევრებთან ერთად, ქუთაისის საჯარო სკოლებში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდის საჯარო სკოლების რეაბილიტაციის კომპონენტის ფარგლებში, ქუთაისში, სრული რეაბილიტაცია რვა საჯარო სკოლაში (N5, N10, N13, N17, N30, N32, N33 და N36) მიმდინარეობს.

2018-19 წელს დასავლეთ საქართველოში სრული რეაბილიტაცია 30 საჯარო სკოლას ჩაუტარდება. შედეგად, სასწავლო გარემო 15,200 მოსწავლისათვის გაუმჯობესდება. დასავლეთ საქართველოში საჯარო სკოლების სრული რეაბილიტაციის მთლიანი ბიუჯეტი 15 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს.

დღემდე, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის საჯარო სკოლების რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღიჭურვა 58 საჯარო სკოლას მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლის, სამცხე-ჯავახეთის, რაჭა-ლეჩხუმის, ქვემო ქართლის, კახეთის რეგიონებში.

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი ჯამში საქართველოს რეგიონებში 91 საჯარო სკოლის სრულ რეაბილიტაციას და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიებით აღჭურვას ახორციელებს. პროექტის შედეგად, 35 ათასზე მეტ მოსწავლისთვის გაუმჯობესდება სასწავლო გარემო და გაიზრდება ხელმისაწვდომობა ზოგად განათლებაზე. აღნიშნული პროექტი დაფინანსებულია 54 აშშ მილიონი დოლარით, რომელიც ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტის ფარგლებში აშშ-ის მთავრობის მიერ გამოყოფილი გრანტია.

2013 წლის 26 ივლისს აშშ-ის ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციასა (MCC) და საქართველოს მთავრობას შორის ხელი მოეწერა 140 მილიონიან მეორე კომპაქტს, რომლის მიზანია საქართველოში სიღარიბის დაძლევა და ეკონომიკური ზრდის ხელშეწყობა ზოგადი, ტექნიკური, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის განვითარების გზით. ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მეორე კომპაქტი დღეისათვის საქართველოს განათლების სფეროში ჩადებული ყველაზე მსხვილი ინვესტიციაა.

ქუთაისელი მოსწავლეების ინოვაციური გამოგონება უსინათლოებისთვის

„ლეონარდო და ვინჩი"-ის მესამე ადგილზე გასული პროექტი "უსინათლოს სიარულის მაკორექტირებელი სენსორული სისტემა" (ავტორი ნატა სულაქველიძე ქუთაისის № 22 საჯარო სკოლიდან და გუნდის წევრი გვანცა მაჩიტიძე ქუთაისის ნიკო ნიკოლაძის სახელობის სკოლა-ლიცეუმიდან/ ხელმძღვანელი — ანზორ (ანრი) ყუფარაძე/მენტორი არჩილ გეგუჩაძე.)

გვანცა მაჩიტაძე ახალგაზრდა გამომგონებელია. 13 წლის მოზარდი ბევრ საინტერესო პროექტზე მუშაობს და პატარა ასაკიდან გამომგონებლობითაა დაინტერესებული. იგი სკოლაშიც აქტიურად მუშაობს სხვადასხა თემებზე და არაერთ პროექტშია ასევე ჩართული.

ქუთაისის 22-ე საჯარო სკოლის მოსწავლემ, გამოგონების ავტორმა ნატა სულაქველიძემ, და მისი გუნდის წევრმა, ნიკო ნიკოლაძის სკოლის მოსწავლე გვანცა მაჩიტიძემ ლეონარდო და ვინჩის კონკურსში მიიღეს მონაწილეობა და ერთ-ერთი საპრიზო ადგილი დაიკავეს. მათ პროექტი ,, უსინათლოს სიარულის მაკორექტირებელი სენსორული სისტემა" წარადგინეს და ჟიურის რჩეულებიც გახდნენ. პროექტი უსინათლოებს, და არა მარტო მათ, ეხმარება თავი აარიდონ სხვადასხვა წინაღობას და სხვადასხვა დაბრკოლებები სხვისი დახმარების გარეშე, ინოვაციური გამოგონების მეშვეობით გადალახონ. გოგონებმა მესამე ადგილი და ფულადი პრემიაც მოიგეს.

„ამ კონკურსმა ბევრი რამ შემძინა.ძალიან დიდი სიხარულია, როცა შენი გამოგონებით სხვას უადვილებ ცხოვრებას. გარდა ამისა, დიდი გამოცდილებაც მივიღე. ამ წარმატებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩემს პედაგოგ არჩილ გეგუჩაძეს და პარტნიორ ნატა სულაქველიძეს", - ამბობს ნიჭიერი მოსწავლე.

გვანცა გასულ წელს STEM ფესტივალზეც მონაწილეობდა, სადაც მას მისი პროექტის მენტორი არჩილ გაგუჩაძე ეხმარებოდა. გამოგონებამ "სამაშველო ზურგსაკიდი სტიქიითდაზარალებულთა გადასაყვანად" დიდი დაინტერესება გამოიწვია.

გარდა მეცნიერებისა, გვანცა ხელოვნებითაცაა დაინტერესებული. იგი ნიკო ნიკოლაძის სკოლა-ლიცეუმის სკოლის ბენდში მღერის. ბენდმა „ინსპირაციამ" უკვე სხვადასხვა პროექტშიც მიიღო მონაწილეობა და გვანცაც ბენდის ერთ-ერთი წარმატებული ვოკალისტია.

გოგონა პარარელელურად „საჯარო გამოსვლები და დებატების" აქტიური მონაწილეცაა და ცდილობს დრო სწავლასთან ერთად სხვადასხვა პროეტებსაც დაუთმოს.

ამ ეტაპზე ახალგაზრდა გამომგონებელს რამოდენიმე გამოგონებისა და პროექტის იდეა აქვს და მენტორებთან ერთად მომავალი კონკურსებისთვის ემზადება.

მთავარი რედაქტორი: ნატო გუბელაძე ● **დიზაინი:** ირმა ბახუტაშვილი ● **მისამართი:** ქუთაისი. რუსთაველის №37 ● (0 431) 24-45-46. ● psnews27@gmail.com ● www.psnews.ge
გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით. არ გამოხატავს არცერთი პოლიტიკური პარტიის ინტერესებს. ავტორთა მოსაზრება შეიძლება, არ ემთხვეოდეს რედაქციისას.
ნიშნით აღნიშნულია სტატია, რომელიც განთავსებულია სარეკლამო ფართზე.
გამომცემელი — შპს „P.S." („პოსტსკრიპტუმი"). ქუთაისის სასამართლოს რეგისტრაცია №5/ბ-1401 გაზეთ „P.S."-ის კლასიფიკაციის კოდი: **UDC (უაკ) 3+32] (479.22) (054) პ - 658 P - 86**